

**საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის
სტრატეგია
და სამოქმედო გეგმა
თბილისი, 2017**

სარჩევი

შესავალი..... 3

თავი I. არსებული ვითარების მიმოხილვა..... 4

 მაკრეკონომიკური მიმოხილვა..... 4

 ფინანსური/საბანკო სექტორის მიმოხილვა..... 5

 სისტემის დანერგვის საფუძვლები..... 6

თავი II. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა..... 8

 დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრები 10

 დაფარვის არეალი 11

 მანდატი 13

 დეპოზიტების დაზღვევის ფონდი..... 14

 სისტემის ადმინისტრირება..... 16

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო..... 16

სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო..... 18

 ანაზღაურების წესი 19

 სისტემის გამოწვევები..... 19

თავი III. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღების შესახებ საზოგადოების ინფორმირება 20

თავი IV: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა..... 20

შესავალი

დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს დეპოზიტორების დაცვას დაზღვეული დეპოზიტების დაკარგვისგან (გარანტირებულად ანაზღაურებადი თანხის კონკრეტული ოდენობით) იმ შემთხვევაში, თუ კომერციულ ბანკს ექმნება დეპოზიტების ანაზღაურების პრობლემა.

დეპოზიტების დაზღვევა ფინანსური სტაბილურობის და უსაფრთხოების სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია. საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის მიზანს კომერციული ბანკების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებით ქვეყნის საფინანსო სისტემის მდგრადობის და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დანაზოგების წახალისება, ასევე შიდა და გარე შოკების შემსუბუქება წარმოადგენს.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი დანერგილია და მოქმედებს მსოფლიოს 113 ქვეყანაში, მათ შორის ევროპის, ცენტრალური აზიის და საქართველოს მეზობელ ქვეყნებში. აღნიშნული სისტემის დანერგვა გათვალისწინებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - საქართველო 2020 და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით. სისტემა იწერება მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობით.

2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს ბევრმა ქვეყანამ შემოიღო დეპოზიტების დაზღვევის ახალი სქემა და განახორციელა უკვე არსებული სისტემის რეფორმირება მისი ეფექტიანობის და ინკლუზიურობის გაზრდის მიზნით. აღნიშნული ტენდენცია ისევ გრძელდება. არ ყოფილა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გაუქმების არც ერთი შემთხვევა.

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით დაარეგულირებს საქართველოს კანონი „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ და წინამდებარე სტრატეგია.

თავი I. არსებული ვითარების მიმოხილვა

მაკროეკონომიკური მიმოხილვა

2014 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო წლიურმა რეალურმა ზრდამ 4.6% შეადგინა. თუმცა, 2015 წელს ზრდის ტემპი 2.8%-მდე შემცირდა. 2016 წლისთვის ეკონომიკური ზრდა წინასწარი პროგნოზით 3%-ის, ხოლო 2017 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 4.0%-ის ფარგლებშია (წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო). მსოფლიო ბანკის 2016 წლის ივნისში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში საუკეთესო და მზარდი პროგნოზები აქვს. აღნიშნული ანგარიშის თანახმად, მიმდინარე წელს საქართველოს ექნება 3%-იანი ზრდა, რაც ჩვენს ოფიციალურ პროგნოზთან მოდის თანხვედრაში, ხოლო 2017 და 2018 წლებისთვის 4.5% და 5%-იანი ზრდა არის პროგნოზირებული. კიდევ უფრო ოპტიმისტურია საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოქტომბრის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვის ფარგლებში გამოქვეყნებული პროგნოზები, რომელთა მიხედვით 2016 წელს 3.4%-იანი, ხოლო 2017 წელს 5.2%-იანი ეკონომიკური ზრდა არის მოსალოდნელი.

2015 და 2016 წლებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 5%-ს, ხოლო 2017 წლისთვის - 4%-ს შეადგენს. 2015 წლის ბოლოსათვის ინფლაციის მაჩვენებელმა 4.9% შეადგინა, რაც ეროვნული ბანკის მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში იყო. 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით ინფლაცია დაბალია და 0.3%-ს შეადგენს, რასაც უმთავრესად ნავთობპროდუქტებზე დაბალი ფასები და საგარეო შოკის შედეგად შემცირებული ერთობლივი მოთხოვნა განაპირობებს. ეროვნული ბანკის მიმდინარე პროგნოზების მიხედვით ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის ფარგლებში 2017 წლის ბოლოსათვის დაბრუნდება.

2014 წელს განვითარებულმა მოვლენებმა გლობალურ თუ რეგიონულ დონეზე გამოწვევების წინაშე დააყენა ქართული ეკონომიკა, რომელიც როგორც მცირე და ღია ეკონომიკა საკმაოდ მოწყვლადია საგარეო შოკების მიმართ. ამ მოვლენებმა პლიერი საგარეო შოკის ფონი შექმნა, რომელიც ნეგატიურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე საგარეო შემოსავლების შემოდინების მკვეთრი შემცირების კუთხით. მცურავი გაცვლითი კურსის პირობებში მნიშვნელოვნად გაუფასურდა ლარი. 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან 1 წლიან პერიოდში ეროვნული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებით 26.5%-ით, ხოლო ევროსთან მიმართებით 18.6%-ით გაუფასურდა. იმავე პერიოდში, დაფიქსირდა ასევე ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის

გაუფასურება, რომელმაც 8.7% შეადგინა. გაცვლითი კურსის აღნიშნულმა კორექტირებამ საგარეო შოკის აბსორბირება მოახდინა და გარკვეულწილად ბუფერის როლი შეასრულა. შემცირდა იმპორტი, გაიზარდა ექსპორტის კონკურენტუნარიანობა; ამან დისბალანსის აღმოფხვრას შეუწყო ხელი, რამაც თავის მხრივ გაცვლით კურსზე გაუფასურების ზეწოლა შეამცირა.

ფისკალური პოლიტიკა საშუალოვადიან პერიოდში ორიენტირებული იქნება გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფაზე. აღნიშნული პოლიტიკა მნიშვნელოვანია საგარეო მოწყვლადობების შემცირების თვალსაზრისით. მთავრობას აქვს საშუალოვადიანი კონსოლიდაციის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს საბიუჯეტო დეფიციტის 3%-ზე დაბალ ნიშნულამდე შემცირებას (GFS1986).

ფინანსური/საბანკო სექტორის მიმოხილვა

2016 წლის სექტემბრის მდგომარებით საქართველოში 17 კომერციული ბანკია. მათგან ყველაზე მსხვილი ორი ბანკი, რომელთა მთლიანი აქტივები სისტემის 61.5%-ს შეადგენს, ლონდონის საფონდო ბირჟაზე არის წარმოდგენილი. საბანკო სისტემა ინარჩუნებს კაპიტალიზაციის მაღალ დონეს, რაც ხელს უწყობს სექტორის სტაბილურობას. არსებული მდგომარეობით, „ბაზელ I“-ის მიხედვით დათვლილი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 17.6%-ს შეადგენს, ხოლო „ბაზელ II/III“-ის მიხედვით დათვლილი - 16.5%-ს. პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს კაპიტალის ზრდის რესურსი როგორც აქციონერთა სიძლიერის, ასევე მომგებიანობის კუთხით.

საბანკო სექტორის სტაბილურობაზე სასესხო პორტფელის მდგომარეობაც მიუთითებს - მთლიანი სესხები 16.7 მილიარდ ლარს შეადგენს (2016 წლის სექტემბრის მონაცემებით), საიდანაც უმოქმედო სესხი საქართველოს ეროვნული ბანკის კლასიფიკაციით 8.15%, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიის მიხედვით - 3.90%-ია.

2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით სისტემის მასშტაბით ლიკვიდური აქტივები მთლიანი აქტივების 24.9%-ს შეადგენს, რაც საკმარისია არასაბანკო დეპოზიტების 43.5%-ის დასაფარად. არასაბანკო დეპოზიტები 14.9 მილიარდ ლარს აღწევს, საიდანაც ფიზიკური და იურიდიული პირების წილი შესაბამისად 53% და 47%-ია. ვადიანობის მიხედვით, მიმდინარე, მოთხოვნამდე და ვადიანი დეპოზიტების წილი 34%, 21% და 45%-ს შეადგენს შესაბამისად. აქედან მიმდინარე

დეპოზიტებში მნიშვნელოვანი წილი უკავია საოპერაციო ხასიათის მიმდინარე ანგარიშებს, რომელიც სტაბილური დაფინანსების წყაროდ ითვლება. სისტემის საშუალო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 42%-ს შეადგენს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ბანკები ინარჩუნებენ ვალდებულებების სტრუქტურის შესაბამის ლიკვიდური აქტივების ადეკვატურ დონეს.

კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება ფინანსური სექტორის მაღალი დოლარიზაცია. პრუდენციული და მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს უწყობს ლარიზაციის შემდგომ ზრდას, თუმცა სესხებსა და დეპოზიტებში უცხოური ვალუტის წილი 60%-ს აჭარბებს (2016 წლის ოქტომბრის მონაცემებით დეპოზიტების 67% და სესხების 63%), რაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში მნიშვნელოვნად ზრდის საკრედიტო და იმ მსესხებლების გადახდისუნარიანობის რისკებს, რომელთაც შემოსავალი ლარში აქვთ.

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის გაერთიანებულმა FSAP-ის მისიამ, რომელიც საქართველოში 2014 წლის ივნისში მუშაობდა, გამოაქვეყნა შეფასება, რომლის მიხედვითაც, საქართველოს საბანკო სისტემამ წარმატებით გაუძლო სხვადასხვა შოკს, მათ შორის, რუსეთთან კონფლიქტს, გლობალურ ფინანსურ კრიზისს, პოლიტიკურ ცვლილებებსა და რეგიონულ არასტაბილურობას. ამდენად, ბოლო წლების მოვლენების ფონზე საბანკო სექტორმა შეინარჩუნა მდგრადობა. მისიის შეფასებით, მნიშვნელოვანი რეფორმების შედეგად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განავითარა ზედამხედველობის საერთაშორისო სტანდარტებთან მაღალი შესაბამისობის, მოწინავე, ყოვლისმომცველი, მომავალზე და რისკებზე ორიენტირებული საზედამხედველო მიდგომა, რომელიც ბევრი მიმართულებით სამაგალითოა განვითარებული ქვეყნებისთვის. აღნიშნული გარემოება, სხვა ფაქტორებთან ერთად, აუცილებელი წინაპირობაა ეფექტიანი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვისათვის.

საქართველოში ბანკების მიმართ ნდობა საკმაოდ მაღალია. Gallup-ის გამოკითხვაზე დაყრდნობით, The Legatum Institute Foundation აქვეყნებს კვლევის შედეგებს, რომლის თანახმად 2015 წლის მონაცემებით გამოკითხულთა 70% დადებითად პასუხობს კითხვაზე - „ენდობით თუ არა ფინანსურ ინსტიტუტებს და ბანკებს“. ამ მაჩვენებლით საქართველო ევროპაში მე-6 პოზიციას იკავებს.

სისტემის დანერგვის საფუძვლები

საქართველოს საბანკო სისტემაში ამ ეტაპზე არსებული სტაბილური მიდგომარეობა, კაპიტალიზაციისა და მოგების მაღალი დონე, ქმნის საუკეთესო

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას¹ დეპოზიტების დაზღვევის სისტემა უზრუნველყოფს, როგორც თითოეული დეპოზიტორის დაცულობას, ისე მთლიანად ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებას. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის გარეშე ნებისმიერ კომერციულ ბანკში დეპოზიტების ანაზღაურებასთან დაკავშირებით შექმნილმა სირთულემ შეიძლება გამოიწვიოს დეპოზიტების მასობრივი გადინება კომერციული ბანკებიდან. აღნიშნული პანიკის შეჩერების ერთ-ერთი ინსტრუმენტია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ამასთან, ნებისმიერ კომერციული ბანკის გადახდისუუნარობა გრძელვადიან პერიოდში საფინანსო სექტორისადმი ნდობის დაკარგვას გამოიწვევს, რაც ფუნდამენტური პრობლემაა მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვა კომერციული ბანკების მიმართ მოსახლეობის ნდობის ამაღლების წინაპირობაა, შესაბამისად, იგი სტიმულს მისცემს დანაზოგების კომერციულ ბანკებში განთავსებას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 16 იანვრის №33 განკარგულებით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემუშავების მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, მათი მოადგილეების, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის და ეკონომიკური საბჭოს მდივნის შემადგენლობით. ასევე, ამავე უწყებების წარმომადგენლებით კონკრეტული დავალებების შესასრულებლად დაკომპლექტდა ტექნიკური ჯგუფი. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობდა მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

თავი II. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა

სტრატეგიაში ასახულია საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საქმიანობის საფუძვლები. რეფორმის შედეგად საქართველოს კანონმდებლობით დარეგულირდება კომერციულ ბანკებში ფიზიკური პირების დეპოზიტების დაზღვევის წესი, დაზღვეული თანხის ოდენობა,

¹ „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომერციული ბანკის ლიკვიდაცია, გადახდისუუნაროდ ან გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევა, რომლის შედეგად ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს.

ანაზღაურების წესი, პროცედურები და მასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის კონცეფცია გადაიხედება რეგულარულად, პირველად - დანერგვიდან 3-5 წლის შემდეგ. საჭიროებისამებრ განხორციელდება საჯარო პოლიტიკის მიზნებთან შესაბამისი ცვლილებები.

საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის კონცეფცია ეფუძნება ევროკავშირის 2014/49/EU 2014 წლის 16 აპრილის დირექტივის (Directive 2014/49/EU of The European Parliament and of the Council of 16 April 2014 on Deposit Guarantee Schemes) და დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისო ასოციაციის (IADI) 16 ძირითად პრინციპს.

აღნიშნული პრინციპებით რეგულირდება ისეთი საკითხები, როგორცაა დეპოზიტების დაზღვევის სისტემის საჯარო პოლიტიკის მიზნები, მანდატი და უფლებამოსილებები, მართვა, ურთიერთობები ფინანსური უსაფრთხოების სისტემის სხვა წევრებთან, მისი როლი კრიზისის მართვაში, სისტემის (სავალდებულო) წევრობა, დაფარვის არეალი, დაფინანსების წყაროები და ინვესტირება, საზოგადოების ინფორმირება, თანამშრომელთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები, ანაზღაურების პროცედურები და სხვა. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი ეფუძნება აღნიშნულ პრინციპებს და ევრო-დირექტივის ძირითად მოთხოვნებს. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციაციის შეთანხმებით განსაზღვრული ვადებით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა საქართველოში 2020 წლიდან უნდა ამოქმედდეს; დადგენილი ვადისათვის დირექტივის სრულფასოვნად შესრულების მიზნით, მნიშვნელოვანია მისი ეტაპობრივად დანერგვა. ინსტიტუციური გამოცდილების თანდათანობითი დაგროვება გაამარტივებს დირექტივასთან ადაპტირების პროცესს. პროექტის ადრიანად დაწყება და დირექტივის მოთხოვნებთან ეტაპობრივი მიახლოება შეამცირებს ფინანსურ წნეხს კომერციული ბანკებისთვის. რეფორმის განხორციელების პირველ ეტაპზე ევრო-დირექტივისგან განსხვავებულად დარეგულირდება შემდეგი საკითხები:

- საქართველოს კანონის პროექტი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ ითვალისწინებს მხოლოდ ფიზიკური პირების დეპოზიტების დაზღვევას, როგორც ამას ითვალისწინებდა ასოციაციის შეთანხმების ხელმოწერისას მოქმედი დირექტივა; მაშინ როდესაც ახალი დირექტივა ითვალისწინებს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების დეპოზიტების დაზღვევას;

- განსხვავებით ევრო-დირექტივისა, რომელიც სისტემაში ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტის ჩართულობას განსაზღვრავს, შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით საქართველოში სისტემაში ჩაერთვება მხოლოდ კომერციული ბანკები; რეფორმის პირველ ეტაპზე სისტემის დროული და ეფექტიანი ამოქმედების მიზნით, მასში არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობა, რომლებიც არ არის რეგულირებული, არ ჩაითვალა მიზანშეწონილად. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება სისტემის ერთიან სარგებელს არ ამცირებს, ვინაიდან დეპოზიტების უდიდესი უმრავლესობა კომერციულ ბანკებშია კონცენტრირებული.
- კიდევ ერთი არსებითი განსხვავება უკავშირდება დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც ევრო-დირექტივით განისაზღვრება 100,000 ევროს ოდენობით. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დათქმის შესაბამისად, საქართველოს ენიჭება უფლება თავად განსაზღვროს აღნიშნული ზღვარი ქვეყანაში არსებული ფინანსური და ეკონომიკური ვითარების შესაბამისად. საქართველოში პირველ ეტაპზე დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზღვარი 5,000 ლარი იქნება. აღნიშნული ზღვარი შესაბამისობაშია გავრცელებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან, რომლის მიხედვით „სისტემამ უნდა უზრუნველყოს დეპოზიტორების 90-95%-ის და დეპოზიტების საერთო რაოდენობის 20%-ის დაზღვევა. საქართველოში დეპოზიტორების 97%-ს 5,000 ლარზე ნაკლები ოდენობის დეპოზიტები გააჩნია, ხოლო მათი წილი მთლიანი დეპოზიტების მოცულობაში შეადგენს დაახლოებით 15.25%-ს.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრები


დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ყველა კომერციული ბანკი.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრები ვალდებული არიან მომხმარებელს მიაწოდონ ინფორმაცია დაზღვეული და დაუზღვეველი დეპოზიტების შესახებ. სისტემის წევრები ვალდებული არიან ელექტრონულად განათავსონ ზოგადი ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის შესახებ.

დაფარვის არეალი

საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემამ უნდა უზრუნველყოს დეპოზიტორების 90-95%-ის დაცვა და დაზღვეული უნდა იყოს დეპოზიტების საერთო რაოდენობის 20%.

დაზღვეული დეპოზიტების ზედა ზღვარი პირველ ეტაპზე განისაზღვრება საქართველოს კანონით. საწყის ეტაპზე მიზანშეწონილია დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურებადი სადაზღვევო თანხის მაქსიმალური ოდენობა (ზღვარი) განისაზღვროს 5,000 ლარით, რაც იმას ნიშნავს, რომ დეპოზიტორთა დიდი უმრავლესობა მთლიანად იქნება დაზღვეული. საქართველოში დეპოზიტორების 97%-ს 5,000 ლარზე ნაკლები ოდენობის დეპოზიტები გააჩნია, ხოლო მათი წილი მთლიანი დეპოზიტების მოცულობაში შეადგენს 15.25%-ს. დაფარვის აღნიშნული არეალი ოპტიმალურია საქართველოში სისტემის დანერგვის პირველი ფაზის პერიოდში არსებული ეკონომიკურ და ფინანსური ვითარებისთვის. ამავდროულად, დაზღვეული დეპოზიტების ზღვარი რეგულარულად გადაიხედება და გაიზრდება საერთაშორისო პრაქტიკის, სადაზღვევო ფონდის მოცულობისა და ზოგადი ფინანსური სტაბილურობის გათვალისწინებით.



თავდაპირველად რეფორმა ითვალისწინებს ფიზიკური პირების დაცვას დეპოზიტზე არსებული ფულადი სახსრების დაკარგვისაგან. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსი სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით განიხილავს და განსაზღვრავს ზღვარის ახალ ოდენობას არაუგვიანეს 2020 წლისა ან უფრო ადრე ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროების შემთხვევაში. ამასთან, დროთა განმავლობაში სისტემამ უნდა უზრუნველყოს იურიდიული პირების დეპოზიტების დაზღვევა, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროდირექტივით.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს არადისკრიმინაციულობის პრინციპს და ვრცელდებოდეს ნებისმიერ ვალუტაში არსებულ დეპოზიტზე თანაბრად. დეპოზიტები ანაზღაურდება ეროვნულ ვალუტაში. იმ შემთხვევაში თუ ფიზიკურ პირს დეპოზიტი აქვს უცხოურ ვალუტაში, საკომპენსაციო თანხა გაიანგარიშება და ანაზღაურდება საქართველოს ეროვნული ვალუტით სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხის მაქსიმალური ოდენობისა. ამგვარი მიდგომა განსაზღვრულია დეპოზიტების დაზღვევის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით.

დაზღვეული დეპოზიტების თანხა თითოეული დეპოზიტორისთვის უნდა განისაზღვროს კომერციულ ბანკში ყველა დასაზღვევი დეპოზიტის საკრედიტო ნაშთების შეკრებით, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის დარიცხული პროცენტის ჩათვლით. დეპოზიტორის მიერ სხვადასხვა კომერციულ ბანკში არსებული დეპოზიტები განსაზღვრული ზღვარის ფარგლებში დაზღვეულია თითოეული კომერციული ბანკისთვის ცალ-ცალკე.

მორალური რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია განისაზღვროს დაუზღვეველი დეპოზიტები. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურებას არ ექვემდებარება პრობლემური კომერციული ბანკის ადმინისტრატორების სახელზე არსებული, ასევე ბანკის კაპიტალის 5% ან მეტის მფლობელი აქციონერების, მათი ოჯახის წევრების და მათი სახელით მოქმედი პირების დეპოზიტები.

ანაზღაურებას არ დაექვემდებარება ასევე ის დეპოზიტები, რომელთა მფლობელები სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე ბოლო სამი წლის განმავლობაში ბანკს უტარებდნენ გარე აუდიტს ან რომელთა მფლობელის იდენტიფიცირება ვერ ხდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის. არ ანაზღაურდება აგრეთვე დეპოზიტები, რომელიც განთავსებულია ნომინალური

მფლობელობის ანგარიშებზე და დეპოზიტები, რომელთა დეპოზიტორის იდენტიფიცირებაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვერ ხდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტამდე. ანაზღაურებას არც ის დეპოზიტები ექვემდებარება, რომელთა მიმართაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიებები ან რომლით სარგებლობის უფლებაც შეზღუდულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველით.

საგარეო ბაზრებზე, ისევე როგორც საქართველოს საფინანსო სექტორში, არ შეიძლება სრულად გამოირიცხოს მოვლენათა არასახარბიელო განვითარების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვას, მცირე დეპოზიტორთა დაცვისა და დეპოზიტების მასიური გადინების თავიდან აცილების მიზნით. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება ერთ-ერთ პრიორიტეტადაა განსაზღვრული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020-ში. სისტემის ადრეული დანერგვა უზრუნველყოფს სადაზღვევო ფონდის დროულ მობილიზებას, შეამცირებს პოტენციურ ფისკალურ ხარჯებს და კომერციულ ბანკებს მისცემს ახალ ხარჯებთან უმტკივნეულო ადაპტაციის შესაძლებლობას.

მანდატი

ფინანსური უსაფრთხოების სისტემაში მათი როლისა და პრობლემების გადაჭრაში მონაწილეობის მასშტაბის მიხედვით საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს დეპოზიტების დაზღვევის 4 ძირითად მანდატს: მარტივი გადახდის აპარატი, მარტივი გადახდის აპარატი პლუს, დანაკარგების მინიმიზატორი და რისკების მინიმიზატორი.² მარტივი გადახდის აპარატი შემოიფარგლება მხოლოდ სადაზღვევო შენატანების შეგროვებითა და სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული დეპოზიტების ანაზღაურებით, ხოლო ყოველი შემდგომი მოდელის

² მარტივი გადახდის აპარატი გულისხმობს მხოლოდ ფონდში რესურსების აკუმულირებას და დეპოზიტების კომპენსაციას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას;

მარტივი გადახდის აპარატი პლუს - მარტივი გადახდის აპარატი გაფართოებული უფლებებით, სადაც ფონდში აკუმულირებული რესურსები შესაძლებელია განიკარგოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში „უმცირესი დანახარჯის“ გაწევის პრინციპით;

დანაკარგების მინიმიზატორი - იზრდება სისტემის როლი პრობლემის გადაჭრის პროცესში და მის მიერ ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზის საფუძველზე ხდება გადაწყვეტის საუკეთესო გზის შერჩევა;

რისკების მინიმიზატორი - ყველაზე კომპლექსური და რთული სისტემა, რომელიც ფუნქციონალურად ითავსებს ბანკების ლიცენზირების, ზედამხედველობის და პრობლემების გადაწყვეტის პროცესში მონაწილეობას.

შემთხვევაში მანდატი ფართოვდება/აღიჭურვება პრობლემების გადაწყვეტის ანალიტიკური და ადმინისტრაციული ინსტრუმენტებით.

საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში პირველ ეტაპზე დაინერგება ე.წ. „მარტივი გადახდის აპარატი“. ინსტიტუციური გამოცდილების შექმნა შესაძლებელს გახდის სისტემის შემდგომ დახვეწას და მანდატის გაფართოებას საჭიროების შემთხვევაში.

დეპოზიტების დაზღვევის ფონდი

დაზღვეული დეპოზიტების ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსური რესურსი აკუმულირდება დეპოზიტების დაზღვევის ფონდში. ფონდის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს კომერციული ბანკების მიერ გადახდილი პირველადი შენატანი, რეგულარული შენატანი, სპეციალური შენატანი, საინვესტიციო საქმიანობით მიღებული შემოსავალი, სადაზღვევო შემთხვევის მქონე ბანკების აქტივებიდან ამოღებული თანხები და სხვა რესურსები.

საქართველოში მიზნობრივი ფონდის ოდენობა განისაზღვრა დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი მოცულობის 6%-ით. ეს არსებული მდგომარეობის მიხედვით, უზრუნველყოფს საქართველოში მოქმედი ყველა კომერციული ბანკის (გარდა ყველაზე მსხვილი ბანკების სამეულისა) დაზღვეული დეპოზიტების სრულად ანაზღაურებას. 2022 წლისთვის სააგენტოს უფროსი საბჭოსთან შეთანხმებით დაამტკიცებს მიზნობრივი ფონდის ახალ სიდიდეს. მიზნობრივი ფონდის გონივრულ ვადაში მობილიზების მიზნით, კომერციული ბანკების ყოველთვიური შენატანი ლარში დაზღვეული დეპოზიტის 0.067%-ით და უცხოურ ვალუტაში დაზღვეული დეპოზიტის მოცულობის 0.1%-ით განისაზღვრება. 2020 წლიდან სააგენტოს უფროსი საბჭოსთან შეთანხმებით, ყოველწლიურად, არაუგვიანეს 30 სექტემბრისა, კომერციული ბანკების რისკების ანალიზის საფუძველზე უფლებამოსილი იქნება ინდივიდუალურად განსაზღვროს კომერციული ბანკების რეგულარული სადაზღვევო შენატანი შემდგომი წლისთვის, მაგრამ არაუმეტეს ზემოაღნიშნული, კანონით გათვალისწინებული, ოდენობისა. რისკების ანალიზის მეთოდოლოგია უნდა იყოს საჯარო ყველა კომერციული ბანკისათვის, ხოლო ბანკების შეფასება - კონფიდენციალური.

საწყისი ფონდის ფორმირებისათვის კანონით განისაზღვრება ფულადი ფორმით 100,000 ლარის ოდენობის პირველადი შენატანის დაწესება კომერციული ბანკებისთვის.

თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ფონდში მობილიზებული თანხები არ იქნება საკმარისი დაზღვეული დეპოზიტების ასანაზღაურებლად, კომერციული ბანკები საქართველოს კანონმდებლობით და საბჭოს მიერ დადგენილი ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით, ვალდებულები იქნებიან ფონდში დამატებით, ერთჯერადად გადაიხადონ დაზღვეული დეპოზიტების მთლიანი ოდენობის არაუმეტეს 1%-სა, იგივე სპეციალური სადაზღვევო შენატანი. თუ აღნიშნულის მიუხედავად ფონდში მობილიზებული თანხები კვლავ არასაკმარისი აღმოჩნდება, დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უფლებამოსილი იქნება მოიზიდოს სახსრები, მათ შორის სახელმწიფო გარანტიის საფუძველზე, შემდეგი წყაროებიდან:

ა) ისესხოს ფული ადგილობრივი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისგან;

ბ) ისესხოს ფული საქართველოს ეროვნული ბანკისაგან;

გ) ისესხოს ფული საქართველოს მთავრობისგან;

დ) განათავსოს ფასიანი ქაღალდები;

ე) მოიძიოს სხვა ალტერნატიული წყაროები.

სესხის დაფარვის ვალდებულება ეკისრება ფონდს.

ფონდის სახსრების ინვესტირებას სააგენტო ახორციელებს კანონის, დამტკიცებული საინვესტიციო პოლიტიკის და წლიური საინვესტიციო გეგმის შესაბამისად. ფონდის დაცულობისა და ლიკვიდურობის შენარჩუნების მიზნით, რესურსების ინვესტირება მოხდება მხოლოდ დაბალრისკიან აქტივებში, როგორცაა:

- საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის ან/და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდები;
- საქართველოს ეროვნულ ბანკის დეპოზიტები;

სააგენტო ინვესტირებას ახორციელებს დივერსიფიკაციის, უსაფრთხოების და ლიკვიდურობის პრინციპების შესაბამისად, რისკის ადეკვატური მართვის და შიდა კონტროლის უზრუნველყოფით. სააგენტოს უფლება აქვს ინვესტიციების განსახორციელებლად ფონდი სამართავად გადასცეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სახაზინო სამსახურს, აგრეთვე საქართველოს ეროვნულ ბანკს.

სისტემის ადმინისტრირება

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირებისათვის იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო (შემდგომში სააგენტო). სააგენტოს მიერ სადაზღვევო რისკის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემა სხვა მზღვეველისთვის დაუშვებელია.

სააგენტო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ კანონის და სხვა საკანონმდებლო აქტების, ასევე სააგენტოს დებულების შესაბამისად. სააგენტო დამოუკიდებელია თავის ყოველდღიურ საოპერაციო საქმიანობაში. სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ მის საქმიანობაში.

სააგენტოს ფუნქციონირებისა და დაფინანსების წესი, მისი მართვა და სხვა საკითხები დარეგულირდება საქართველოს კანონით დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ და სააგენტოს დებულებით.

სააგენტოს დებულებას, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, ხოლო საშტატო ნუსხას და ბიუჯეტს სააგენტოს უფროსი სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით. ადმინისტრაციული ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა რაოდენობა და თანამდებობრივი სარგო, უნდა იყოს გონივრული საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.

სააგენტოს უფლებები და მოვალეობები, მათ შორის კანონმდებლობით განსაზღვრული შენატანების ადმინისტრირება, დეპოზიტების დაზღვევის ფონდის მართვა, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დეპოზიტორთა კომპენსაცია, კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმება, საინვესტიციო პოლიტიკის შესრულება და სხვა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კანონით დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ.

სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს უფროსი, რომელიც წარმართავს მის საქმიანობას. საჯარო კონკურსის გზით კანდიდატს შეარჩევს და თანამდებობაზე (5 წლის ვადით) ნიშნავს საბჭო. სააგენტოს უფროსი უნდა იყოს ქმედუნარიანი,

შესაბამისი განათლების და სამუშაო გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი პირი.

სააგენტოს საქმიანობა გამჭვირვალეა. სააგენტოს ყოველწლიურად უტარდება გარე აუდიტი, რომლის დასკვნა საჯაროა და ქვეყნდება სააგენტოს ვებ გვერდზე. სააგენტოს მიერ განხორციელებული სამუშაო პროცესის და აქტივობების მონიტორინგის მიზნით, სააგენტოს დებულებისა და ინსტრუქციის შესაბამისად, სააგენტოში უზრუნველყოფილი იქნება შიდა აუდიტის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს სააგენტოს საბუღალტრო და ფინანსური ინფორმაციის და შესაბამისი ფინანსური განაცხადების სანდოობის და მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმებას.

სააგენტო ასევე ვალდებულია ელექტრონულად გამოაქვეყნოს ინფორმაცია დეპოზიტების დაზღვევის სისტემის წევრი კომერციული ბანკების შესახებ, ფონდში აკუმულირებული თანხების შესახებ, კვარტალური და წლიური ანგარიშები, სააგენტოს დებულება და ინსტრუქციები, ინფორმაცია ფონდის სახსრების განთავსების შესახებ და სააგენტოს წლიური ბიუჯეტი.

სააგენტოს ეფექტიანი საქმიანობის მიზნით შეიქმნება მართვის სპეციალიზებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც მოიცავს დეპოზიტების ანაზღაურების მოდულს. საინფორმაციო სისტემას ჩაუტარდება რეგულარული ტესტირება. სააგენტო რეგულარულად, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ სისტემის მონაწილე ბანკებთან ერთად ჩაატარებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის და კომპენსაციების გაცემის სიმულაციას.

დეპოზიტების დაზღვევის ფუნქციების შესრულების მიზნით თანამშრომლობის შესახებ შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სააგენტოს შორის დროულად და რეგულარულად გაიცვლება კომერციული ბანკების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია. შეთანხმებამ უნდა უზრუნველყოს სისტემის მონაწილეებს შორის ინფორმაციის დროული გაცვლა და ეფექტიანი კომუნიკაცია კოორდინირებული ქმედებებისთვის. შეთანხმებაში გათვალისწინებული იქნება ასევე ეროვნული ბანკის მიერ სააგენტოსთვის დახმარების გაწევის საკითხები.

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციაზე წვდომა ექნება პირდაპირ და საქართველოს ეროვნული ბანკის მეშვეობით. კომერციული ბანკებისგან სააგენტო შესაბამისი ინსტრუქციით განსაზღვრული ფორმატით რეგულარულად მიიღებს

ზუსტ და დროულ ინფორმაციას. ეროვნულ ბანკსა და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს შორის ინფორმაციის გაცვლას დაარეგულირებს შესაბამისი შეთანხმება. სააგენტოს საოპერაციო ბიუჯეტის დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნება ფონდის შემოსავლებიდან.

სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო

სააგენტოს ზედამხედველობას უწევს სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო.

სამეთვალყურეო საბჭო არის დეპოზიტების დაზღვევის პოლიტიკის განმსაზღვრელი კოლევიალური ორგანო, რომელიც შედგება 5 წევრისგან შემდგომ შემადგენლობით: საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და 2 დამოუკიდებელი წევრი. დამოუკიდებელი წევრების კანდიდატურას საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომერციული ბანკები. დამოუკიდებელი წევრი უნდა იყოს მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და შესაბამისი ფინანსური ან ეკონომიკური ან იურიდიული უმაღესი განათლებისა და შესაბამისი გამოცდილების მქონე პირი; ის არ შეიძლება იყოს კომერციული ბანკის აქტიური ან ყოფილი ადმინისტრატორი ბოლო 6 თვის მანძილზე ან/და ინტერესთა სხვა კონფლიქტის მატარებელი. დამოუკიდებელი წევრი ირჩევა 5 წლის ვადით, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს დანარჩენი წევრები მათი შესაბამისი თანამდებობაზე ყოფნის ვადით. საბჭოს თავმჯდომარეს 1 წლის ვადით და როტაციის პრინციპით თავმჯდომარეობს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი შესაბამისი თანმიმდევრობით. დამოუკიდებელი წევრი არ შეიძლება იყოს საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭო ითანხმებს სააგენტოს უფროსის მიერ შემუშავებულ ინსტრუქციებს და პოლიტიკის დოკუმენტებს, მათ შორის შენატანების გამოთვლის წესებისა და გადახდის პროცედურების, ასევე სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და წლიური საინვესტიციო გეგმების შესახებ. საბჭო ასევე შეთანხმებს სააგენტოს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს, სააგენტოს უფროსის ანგარიშებს სააგენტოს საქმიანობის შესახებ და და ასრულებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

ანაზღაურების წესი

სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ სააგენტო ვალდებულია დეპოზიტორებს დაუყოვნებლივ აცნობოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისა და ანაზღაურების პროცედურების შესახებ ელექტრონულად ოფიციალური ვებ-გვერდის და ოფიციალური ბეჭდვითი გამოცემის საშუალებით. სააგენტომ დეპოზიტების ანაზღაურების ორგანიზება უნდა უზრუნველყოს შერჩეული კომერციული ბანკის საშუალებით.

სააგენტო ვალდებულია მაქსიმალურად სწრაფად აანაზღაუროს დაზღვეული დეპოზიტის ოდენობა სრულად. დეპოზიტების ანაზღაურების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 კალენდარულ დღეს.

დეპოზიტების ანაზღაურების შემდეგ, დეპოზიტორის მოთხოვნა იმ კომერციული ბანკის მიმართ, რომელშიც სადაზღვევო შემთხვევა დადგა, შემცირდება გაცემული ანაზღაურების ოდენობით. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მოთხოვნა კომერციული ბანკის მიმართ, რომელშიც სადაზღვევო შემთხვევა დადგა, გაიზრდება ამ კომერციული ბანკის დეპოზიტორებზე გაცემული ანაზღაურების ოდენობით. სააგენტო, დეპოზიტორებზე ანაზღაურების გაცემისას, საქართველოს ეროვნული ბანკის შემდეგ სადაზღვევო შემთხვევის მქონე კომერციული ბანკის პირველი რიგის კრედიტორია და უფლება აქვს მოითხოვოს კანონით გათვალისწინებული თანხების ანაზღაურება.

სისტემის გამოწვევები

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების ერთ-ერთი გამოწვევაა საქართველოს საბანკო სისტემაში არსებული მაღალი კონცენტრაცია, რის გამოც სისტემურ ბანკებში სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, ფონდში აკუმულირებული სახსრებით, ვერ იქნება სრულად დაკმაყოფილებული დეპოზიტორების მოთხოვნები. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში პრობლემის გადაჭრაში ჩაერთვება დღეისთვის უკვე მოქმედი ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის სხვა მექანიზმები. თუმცა, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის სარგებელი აღნიშნული ბანკებისთვის მაღალია, ვინაიდან ის თავიდან გვაცილებს დეპოზიტების მასიური გადინების და ერთი ბანკის პრობლემების სხვა ბანკებზე გავრცელების შესაძლებლობას. ამასთან, ფონდში აკუმულირებული თანხა შესაბამისი მოცულობით შეამცირებს მოსალოდნელ საბიუჯეტო ხარჯებს.

თავი III. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საზოგადოების ინფორმირება

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია არსებულ და პოტენციური დეპოზიტორები ინფორმირებული იყვნენ აღნიშნული სისტემის შემოღების შესახებ. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ამოქმედებამდე, ხელისუფლებამ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს არსებული სისტემის ფუნქციონირების და ეფექტიანობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაცია დაფარვის ზღვარს ზემოთ დარჩენილ კლიენტებთან, რათა არ გაჩნდეს განცდა, რომ თითქოს მათი დანაზოგებისათვის რისკი გაიზარდა (ანუ დეპოზიტების დაზღვევამ გააუარესა მათი მდგომარეობა). დაინტერესებული მხარეების ინფორმირება დაიწყო კანონპროექტზე მუშაობის პარალელურად და გაგრძელდება კანონის სრულ ამოქმედებამდე. საინფორმაციო კამპანია (მათ შორის საკუთრივ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ წარმოებული) შესაძლოა წარიმართოს ნებისმიერი მარკეტინგული საშუალებით (სატელევიზიო რეკლამა, თოქ-შოუებით ინფორმაციის მიწოდება, სხვადასხვა უწყებების მიერ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსება).

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ ასევე უნდა უზრუნველყოს საზოგადოების პერმანენტული ინფორმირება დეპოზიტების დაზღვევის სისტემის, მისი განვითარების და მიმდინარე პროცესების შესახებ. სისტემაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და საზოგადოებას საინფორმაციო კამპანიის გზით.

თავი IV: დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობა, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ვალდებულების დანერგვისთვის აქტიურად მუშაობს და 2016 წლის ბოლოსთვის საქართველოს პარლამენტს შესაბამის კანონპროექტს წარუდგენს. დაგეგმილია, რომ სისტემის დანერგვა 2017 წლისთვის გახდება შესაძლებელი.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვისთვის სამოქმედო გეგმა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს შესაბამისი

14	ზღვარის ოდენობის გადახედვა	2020 წლისთვის ან უფრო ადრე ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის საჭიროების შემთხვევაში
15	საბჭოს მიერ რისკების ანალიზის საფუძველზე გაანგარიშებული რეგულარი სადაზღვევო შენატანების დამტკიცება	2020 (III)
16	სისტემის შესაბამისობაში მოყვანა დირექტივის სხვა მოთხოვნებთან	2022 წლიდან